

დადგენილება № ცვ-1048-23
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

7 ნოემბერი, 2023 წ.

- დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): სს. „ენერგო-პრო ჯორჯია“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე ტარიელ შვანგირაძე.
- საქმის განხილვის თარიღი: 2023 წლის 7 ნოემბერი.
- ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:
ფიზიკური პირი თინათინ ჩიხლაძე, პირადი № 60001078158, დაბ. 1988 წლის 5 აპრილს, მის.: ქ. ქუთაისი, წყალტუბოს ქ. № 27, ფაქტ. მის. ქ. ქუთაისი, იოანე პეტრიწის ქ. II შეს. № 17, ტელ.: 598 90 29 27.
- საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:
2023 წლის 30 ოქტომბერს, ქ. ქუთაისში, იოანე პეტრიწის ქ. II შეს. № 17-ში, აბონენტ მარინე ორმოცაძის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ თინათინ ჩიხლაძეს მისი საცხოვრებელი სახლის წინ არსებულ ელექტრობოძზე სახლში შემავალი ოთხწვერა კაბელის ორი წვერი დაერთებული აქვს მრიცხველზე, ხოლო დანარჩენი ორი წვერი არაღებულად დაერთებული ჰქონდა მაგისტრალური იზოლირებული სადენის ფაზა-ნულზე და მასში გამავალი ელექტროენერგია მრიცხველში არ აღირიცხებოდა. შემოწმების დროს თინათინ ჩიხლაძეს საცხოვრებელ სახლში მოწყობილი ჰქონდა ელექტროგადამრთველი, რომლის მეშვეობით ახდენდა ლეგალური ხაზიდან არაღებულ ხაზზე გადართვას და ელექტროენერგიის დატაცებას, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აბონენტს იმავე დღეს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება ადმინისტრაციული საქმის განხილვამდე. თინათინ ჩიხლაძის მიმართ 30.10.2023წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას № 010567 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი, იგი აღიარებს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობას, მაგრამ განმარტავს, რომ სახლი ახალი შეძენილი აქვს და აღნიშნულთან დაკავშირებით არ იცის არაფერი. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. თინათინ ჩიხლაძე არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 30.10.2023წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი № A1206558 და სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი და ფოტოსურათი, რომლებითაც დასტურდება თინათინ ჩიხლაძის მიერ ელექტროენერგიის დატაცება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი, სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი და ფოტოსურათი), რომელთა მეშვეობით დგინდება თინათინ ჩიხლაძის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის დატაცება. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების სამთვიანი ვადა და 240-ე და 252-ე მუხლების პირველი ნაწილებით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც თინათინ ჩიხლაძეს განემარტა მისი უფლება-მოვალეობები, მან მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228²-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. №19 დადგენილების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 29.06.2022 წ. EPG RU №2022007 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 10.10.2022 წ. EPG OR № 2022037 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი თინათინ ჩიხლაძე, პირადი № 600010781581, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულების (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: _____

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ტარიელ შვანგირაძე,
კომისიის თავმჯდომარე